

arkosic sandstones), siltstones and shales (slates, siltstone-psammite) of the Lower and Middle Jurassic schistose terrigenous formation of the Caucasian Folded System. According to data of the petrographic and X-ray phase analysis there have been established the types of rocks and the entity and quantity of mineral phases constituting them; there has been defined organic carbon content in shales. On the whole territory of the Kazbegi-Omaloregion (the Kazbegimunicipality, the gorges of rivers Asa, PirikitaAlazani, TushetiAlazani, Story and etc.) we carried out fieldworks and took samples of shales from natural exposures and sections; then we described and researched them in laboratory (microscopic, X-ray-phase, X-ray fluorescent, thermal analyses) and considering the results (tectonic conditions, mineralogicalparagenesis, organic carbon content, level of thecatagenesis) we distinguished local districts, promising from the viewpoint of shale-gas content. In case of establishing the productivity even of the small part of the researched shales, Georgia can become one of the rich, gas-producing (shale gas) countries.

რეზიუმე

ნარმოდგენილ ნაშრომში ჩვენ მიერ აღნერილი და გამოკვლეულია კავკასიონის ნაოჭა სისტემის ქვედა- და შუაიურული ფიქლებრივი ტერიგენული ფორმაციის ქვიშაქვების (კვარცის ქვიშაქვები, კვარციტები, არკოზული ქვიშაქვები), ალევროლითებისა და თიხაფიქლების (ასპიდური, ალევროლით-ფსამიტური) ლითოლოგიური და მინერალოგიური შედგენილობა. ჩატარებული პეტროგრაფიული და რენტგენოფაზური ანალიზის საფუძველზე დადგენილია ქანის ტიპები და მათი შემადგენელი მინერალური ფაზების რაობა და რაოდენობა. თიხაფიქლებში განსაზღვრულია ორგანული ნახშირბადის შემცველობა. ყაზბეგ-ომალოს რეგიონის მთელ ტერიტორიაზე (ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, ასას, პირიქითა ალაზნის, თუშეთის ალაზნის, სტორის ხეობები და სხვ.) ჩვენ მიერ ჩატარებული საველე-გეოლოგიური სამუშაოებისას ბუნებრივი გაშიშვლებებიდან და ჭრილებიდან აღებული და აღნერილი თიხაფიქლების ნიმუშების ლაბორატორიული (მიკროსკოპული, რენტგენოფაზური, რენტგენოფლუორესცენტული, თერმული) კვლევებით მიღებული შედეგების გაანალიზების საფუძველზე (ტექტონიკური პირობები, მინერალოგიური პარაგენეზისი, ორგანუ-

ლი ნახშირბადის შემცველობა, კატაგენეზისი დონე) გამოყენილი შეილგაზის (ბუნებრივი აირის) შემცველობის თვალსაზრისით პერსპექტიული ლიკალური უბნები, რომელთა მცირე ნაწილის პროდუქტიულობის დადგენის შემთხვევაშიც კი საქართველო ბუნებრივი გაზით (შეილგაზი) მდიდარ ქვეყნებს შორის აღმოჩნდება.

საქვანძო სიტყვები: კვარციტი, ქვიშაქვა, თიხაფიქალი, ტერიგენული, ვიტრინიტი, შეილგაზი.

საქართველოში ფიქლებრივი ტერიგენული ფორმაციის (თიხაფიქლების) გავრცელების, ლითოლოგიური შედგენილობის, ტექტონიკური თავისებურებების, ბუნებრივი გაზის შემცველობისათვის დამახასიათებელი მაჩვენებლებისა და ჩრდილოეთ ამერიკასა და ევროპაში ფიქლების ნავთობისა და გაზის სფეროში ბოლო პერიოდში განხორციელებული რევოლუციის შედეგად მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით, საქართველო შეიძლება შეილგაზის მნიშვნელოვანი რაოდენობის მომპოვებელი ქვეყანა გახდეს.

თიხაფიქლები ნარმოადგენს დედამიწაზე ფართოდ გავრცელებულ დაბალი გამტარებლობის მქონე დანალექ ქანს, რომელიც ხშირად ნაპრალებსა და ფორებში მოქცეულ და მინერალურ ან ორგანულ მდგენელებში აბსორბირებულ ბუნებრივ აირს შეიცავს. ქანის დაბალი გამტარებლობა, ბუნებრივი აირის სხვა არატრადიციული წყაროების მსგავსად, შეილგაზის მოპოვების პროცესს გამტარებლობის ხელოვნური გაუმჯობესების აუცილებლობას უკავშირებს.

საქართველოს ტერიტორია განსაკუთრებით მდიდარია იურული ასაკის თიხაფიქლებით, ისინი სხვა ასაკშიც გვხვდება, თუმცა დამორჩილებული სახით. კავკასიონის ნაოჭა სისტემის ქვედა- და შუაიურული ნარმონაქმნები, ძირითადად, ნარმოდგენილია თიხაფიქლებით (70-80%), მცირე რაოდენობით გვხვდება არგილიტები (პელიტური და ალევროპელიტური) და ქვიშაქვები, რომლებიც მთელი კავკასიონის ფარგლებში მსგავსი ლითოლოგიურ-პეტროგრაფიული და გეოქიმიური თავისებურებებით ხასიათდება. ქვედა- და შუაიურულ ფიქლებრივ ტერიგენულ ნალექებში ორგანული ნარმოშობის ნახშირბადის სხვადასხვა რაოდენობა განაპირობებს მათ მუქ ფერებს მოშავომდე.

მართალია კავკასიონის ნაოჭა სისტემის ქვედა და შუაიურული ასაკის ფიქლებრივი ტე-

რიგენული ფორმაციის ნალექების გეოლოგიური თავისებურებანი წინა მკვლევრების [1,2] მიერ საკმაოდ დეტალურადაა შესწავლილი, მაგრამ 2010 წლამდე მათში შეიღვაზის არსებობის გეოლოგიურ და ქიმიურ მახასიათებლებს პრაქტიკულად ყურადღება არ ექცეოდა, თუ არ ჩავთვლით პ. ჩიჩიუასა და ნ. ასლანიკაშვილის შრომებს [3,4], რომელთა დიდი ნაწილი მომიჯნავე ტერიტორიებს ეხება.

ჩატარებული კვლევებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა გ. ჩიხრაძის [2] შრომები. აღსანიშნავია კავკასიონის სამხრეთი ფერდის ქვედა და ზედა იურული ასაკის ნალექების ლითოლოგიური კვლევა, სადაც დახასიათებულია კავკასიონის თიხაფიქლების მთლიანი გამოსავლების გეოლოგიურ-ლითოლოგიური თავისებურებანი.

საქართველოს თიხაფიქლების ენერგეტიკული პოტენციალის კვლევის ამოცანა ინიცირებული იქნა 2010 წლის დასაწყისში [15]. ამავე წელს საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა ჩატარა ერთ-ერთი პოტენციურად პერსპექტიული ზონის გეოლოგიური მიმოხილვა. USAID-ისა და ენერგეტიკის სამინისტროს მხარდაჭერით ჩატარდა საქართველოს შეიღვაზის პოტენციალის წინასწარი მიმოხილვა [6]. ამჟამად საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე აქვეყნებს აკადემიკოს ე. გამყრელიდის მიერ წარდგენილ სამეცნიერო სტატიას „საქართველოს თიხაფიქლები: შეიღვაზის მოპოვების კონტექსტი“ [7].

ჩვენი კვლევებითა და ლიტერატურული მონაცემებით, ყაზბეგ-ომალოს რეგიონის ქვედა- და შუაიურული ასაკის ქანებში (თიხაფიქლები, ალევროლიტები, არკოზული ქვიშაქვები) ორგანული ნახშირბადის საკმაოდ მაღალი შემცველობა (2%-მდე) ფიქსირდება. თერგის ხეობაში (ყაზბეგის მუნიციპალიტეტი) — 0,25 — 1,03%; არღუნის ხეობაში — 0,42 — 1,65%, პირიქითა ალაზნის ხეობაში — 0,39 — 1,45%. შესაბამისად, იქ, სადაც ორგანული ნახშირბადის შემცველობა 0,90%-ს აჭარბებს (თიხაფიქლები) და ქანების პოსტდიაგენეტური გარდაქმნა აპოკატაგენეზისის სტადიას შეესაბამება, ტერიტორია ბუნებრივი აირის შემცველობის თვალსაზრისით პერსპექტიულია.

ი. გავრილოვის მონაცემებით [8] ორგანული ნახშირბადი ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ასე ნაწილდება: მდ. ქისტურას მიდამოები, დარიალის გრანიტ-გნეისური მასივის თავზე 0.43 — 0.94%; მდ. ქისტურას ხეობის მარცხენა ფერდობი — 0.10 — 4.60%; მდ. ქის-

ტურას ხეობის მარჯვენა ფერდობი — 0.15 — 0.30%; წილაურის წყება — 0.10 — 0.60%; გველეთის მასივი — 0.42 — 0.63%; ქისტურას წყება დარიალის მასივის ჩრდილოეთით — 0.54%; წილაურის წყება დარიალის მასივის ჩრდილოეთით — 0.14 — 0.74%; ლარსის წყება — 0.35 — 0.87%; ყაზბეგის წყება გველეთის მასივის სამხრეთით — 0.14 — 0.89%; ღუდუშაურის წყება გველეთის მასივის სამხრეთით — 0.60 — 0.81%.

გ. ბენიძის [9] მონაცემებით, ალაზანგალმა კახეთის ქვედა- და შუაიურულ ფიქლებივ ტერიგენულ ნალექებში ორგანული ნახშირბადის შემცველობა თიხაფიქლებში — 1,7%-მდე ფიქსირდება, ალევროლიტებში — 0,57%-მდე, ქვიშაქვებში — 0,35%-მდე. ამ რეგიონში ქვედაიურულ თიხაფიქლებში გამოთვლილი $C_{\text{თრ}} - \text{ის } \text{საშუალო } \text{შემცველობა } 0,76\%-ია.$

სინემურულ-ქვედაპლინსბაზური (ფილიტიზებული) თიხაფიქლების $C_{\text{თრ}}$ საშუალო შემცველობა 0,33%-ია. ამ ქანებიდან, როგორც ჩანს, ინტენსიურად ხდებოდა ორგანული ნივთიერებების გატანა ფილიტიზაციის (მეტამორფიზმის) პროცესში, რომელიც სერიციტიზაციის ინტენსივობით არის გამოხატული. მას თითქმის ყოველთვის თან სდევს რკინის ალდგენა $C+2FeO \rightarrow CO_2 + 4FeO$.

ქვედაიურულ თიხაფიქლებში ორგანული ნახშირბადის ყველაზე მაღალი შემცველობებია დაფიქსირებული ზედაპლინსბაზურ და ტოარსულ დონეებზე (საშუალო 1,02%), ზოგჯერ მისი შემცველობა 1,7%-ს აღწევს.

ორგანული ნახშირბადის ამაღლებულ შემცველობასთან ერთად სასურველია ქანებში თიხის შემცველობა იყოს დაბალი (<35%), რათა ხელი შეუწყოს რექტიფიკაციას და, შესაბამისად, გაზის ექსტრაქციას. დ. უარვე უპირატესად მიიჩნევს კაუმინის მაღალ შემცველობას (>30%), დასაშვებია ცოტაოდენი კარბონატისა და არაგავირჯვებადი თიხების არსებობაც.

კავკასიონის ნაოჭა სისტემის თიხაფიქლების ცალკეული მინერალური ფაზებისა და მათი რაოდენობის დადგენის მიზნით პეტროგრაფიულ კვლევებთან ერთად ჩატარდა ნიმუშების რენტგენოფაზური ანალიზი. ღენტგენოგრამაზე გამოვლინდა დამახასიათებელ მინერალთა ცალკეული ფაზები.

კავკასიონის სამხრეთ და ჩრდილოეთ ფერდის ქვედა- და შუაიურული თიხაფიქლების რენტგენოგრაფიული მონაცემების შედარებამ გვიჩვენა მათი ერთანაირი — ქლორიტ-ქარსიანი შედგენილობა და ჰიდროქარსის არსებობა

ჩრდილოეთ ფერდის აალენურ თიხაფიქლებში. კავკასიონის გეოსინკლინური ზონის დისლო-ცირებულ უბნებზე, მათ შორის ყაზბეგის რაიონის აალენურ თიხაფიქლებში, ჰიდროქარსი გარდაქმნილია მუსკოვიტად (სერიციტში) მა-შინ, როდესაც ჩრდილოეთ ფერდის სინკრონულ ნალექებში შენარჩუნებულია არა მარტო ჰიდ-როქარსი, არამედ კაოლინიტი და სხვა თიხამი-ნერალები.

სხვადასხვა ჭრილში ზოგიერთი ინტერგა-ლისთვის დადგენილია შერეულშრებრივი წარ-მონაქმნები [2] ქარს-მონტმორილონიტი (სმექ-ტიტი), ქლორიტ-მონტმორილონიტი (სმექტი-ტი), ქლორიტ-ვერმიკულიტი, ალინიშნება აგ-რეთვე ქლორიტის რკინიანი სახესხვაობა - ბერტერინი, სმექტიტი. შესწავლილ პრეპარა-ტებში ალინიშნება აგრეთვე კვარცის, ზოგჯერ პლაგიოკლაზის რეფლექსები.

შრეებრივი სილიკატების პლიტიპებისა და, განსაკუთრებით, ილიტის კრისტალურობის ინ-დექსის შესწავლა არის მეტამორფიზმის დონის ინდიკატორის დადგენის კარგი პარამეტრი.

თიხაფიქლებში ფიქლების გაზის შემცველ-ბა გარკვეულწილად დამოკიდებულია თიხაფი-ქლების შრეების სიმძლავრეზე. თიხაფიქლების ზომიერი სიმძლავრე ითვლება იდეალურად $>15\text{-}\text{ზე}$; $>20\text{-}\text{ზე}$; ჩვეულებრივ, საუკეთესოდ ითვლება დიდი სიმძლავრე, თუმცა თიხაფიქ-ლების მძლავრი წყებები (ასობით მეტრი) უფრო განიხილება, როგორც „აუზის ცენტრალური გაზის“ საბადოები, ვიდრე ფიქლების გაზის სა-ბადოები.

მაგრამ ეს მონაცემები ერთმნიშვნელოვანი არ არის და უმეტესად დამოკიდებულია კონკრეტული აუზის ტიპზე. მაგალითად, ცენტრა-ლური ინგლისის ბოულენდ-ჰოდერის წყების ზედა ნაწილი, 60-90 მ სიმძლავრის, პროდუქტი-ული არ არის, სამაგიეროდ 3000 მ-ზე მეტი სიმძლავრის ქვედა ჰორიზონტი შეიცავს თხელ შრეებს ორგანული ნახშირბადის მომატებული შემცველობით. ეს სიმძლავრე ბევრად აღმა-ტება ანალოგიურს აშშ-ში.

საქართველოს თიხაფიქალების პერსპექტი-ულობის მაჩვენებლად ასევე შეიძლება ჩაითვა-ლოს შავი ფიქლების წყებაში B_2O_3 -ის შემცვე-ლობა, რომელიც მერყეობს 0.016-დან 0.055%-მდე. B_2O_3 -ის მაქსიმალური რაოდენობა (0.055%) აღინიშნება საკუთრივ თიხაფიქალში. ანალიზის შედეგები საშუალებას გვაძლევს დავინახოთ ტენდენცია B_2O_3 -ის კავშირისა თი-ხაფიქლებთან, განსაკუთრებით, პელიტურ ფრაქციასთან (თიხაფიქალი — 0.016% B_2O_3 ,

ხოლო მისივე პელიტური ფრაქცია — 0.023% B_2O_3). აღნიშნულ წყებაში ჭაბურლილებით გახ-სნილია ბორის შემცველი დაწნევითი წყლები, რომელთაც თან ახლავს ნავთობის ლაქებისა და მეთანის გამოყოფა [10].

ვიტრინიტის არეკვლადობის უნარზე ფრაგ-მენტული მონაცემების თანახმად, ზონაში პო-ტენციურად გაზშემცველი ქანები განლაგებუ-ლია, სავარაუდოდ, სრულიად უგაზო მთლია-ნად მეტამორფიზებულ ქანებთან ერთად. ამავე დროს, ამჯერად არსებული მონაცემები საშუა-ლებას არ იძლევა განისაზღვროს პოტენციუ-რად გაზშემცველი ქანების განაწილება ზონის ტერიტორიაზე და ქანების სილრმეზე. ამას ემა-ტება მონაცემების არარსებობა ქანების გამტა-რებლობაზე და სიმყიფეზე. საჭიროა აგრეთვე მთლიანი ზონის ქანების სხვა ფიზიკურ-მექა-ნიკური პარამეტრების მონაცემთა ბაზის გა-ფართოება.

ყაზბეგ-ომალოს რეგიონის მთელ ტერიტო-რიაზე (ყაზბეგის რაიონი, არღუნის, პირიქითა ალაზნის, თუშეთის ალაზნის, სტორის ხეობები და სხვ.) ჩვენ მიერ ჩატარებული საველე-გეო-ლოგიური სამუშაოებისას ბუნებრივი გაშიშვ-ლებებიდან და ჭრილებიდან აღებული და აღწე-რილი თიხაფიქლების ნიმუშების ლაბორატო-რიული (მიკროსკოპული, რენტგენოფაზური, რენტგენოფლუორესცენტული, თერმული) კვ-ლევებით მიღებული შედეგების გაანალიზების საფუძველზე (ტექტონიკური პირობები, მინე-რალური პარაგენეზისი, ორგანული ნახშირბა-დის შემცველობა, კატაგენეზისის დონე) გამოვ-ყავით შეილგაზის შემცველობის თვალსაზრი-სით პერსპექტიული ლიკალური უბნები, გა-რემოს შემდგომი ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის საჭირო მოთხოვნების გათვალისწინებით. უცხოეთში ბევრი კამათობს ფიქლების გაზის ბურღვისა და მოპოვების შე-დეგად გარემოზე ზემოქმედებისა და რეგულა-ციების საკითხზე. შესაბამისად, აუცილებელია ფიქლების გაზის ძებნა-ძიების პროცესში გა-რემოსთან დაკავშირებული საკითხების მართვა საქართველოშიც.

შესაბამისად, ქვედა- და შუაიურულ დანა-ლექ ნარმონაქმნებს, რიგი პარამეტრებისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, განვიხი-ლავთ როგორც არატრადიციული გაზის შემ-ცველ ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ ობი-ექტს, თუმცა ნახშირნებადების რესურსული პოტენციალის წინასწარი შეფასებისთვის აუ-ცილებელია შემდგომი მსხვილმასშტაბიანი სა-

ველე-გეოლოგიური სამუშაოებისა და ლაბორატორიული კვლევების წარმოება.

შესწავლილი თიხაფიქლების მცირე ნაწილის პროდუქტიულობის დადგენის შემთხვევაშიც კი საქართველო ბუნებრივი გაზის (მეილგაზი) რესურსებით მდიდარ ქვეყნებს შორის აღმოჩნდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Вахания Е.К. Юрские отложения Грузии. Тбилиси. 1976, ст. 385.
2. Чихрадзе Г.А. Литология юрских и меловых отложений южного склона Большого Кавказа. Тбилиси. 1981, ст. 41.
3. Чичуа Б.К., Киласония З.Н., Суладзе А.Н., Иорашвили В.Г. Теория углеродного коэффициента и некоторые вопросы нефтегазоности Грузии. Вкн. Сборник трудов посвященный 100-летию со дня рожд. П.Д. Гамкелидзе. Тбилиси. 2004. ст. 687-691.
4. Асланиашвили Н.А. Углеводородный потенциал вулканогенно-осадочных толщ. Сборник трудов посвященный 80-летию основания КИМС. 2009. ст. 164-169.
5. შეყრილაძე ი., თევზაძე მ., ზვიადაძე უ. გაზეთი “24 საათი” 2010.06.10.
6. King M., Magalashvili A., Margvelashvili M., Shekrladze I., Tsintsadze P. Report. USAID. 2010. Tbilisi. p.p. 1-83.
7. Shekrladze I., Poporadze N., Zviadaze U. Shales of Georgia: Shale gas mining context. Georgian National Academy of Sciences. Bulletin vol.7, no. 1, Tbilisi. 2013. p.p 69-78.
8. Гаврилов Ю.О. Динамика формирования юрского терригенного комплекса Большого Кавказа. 2004. ст. 310.
9. ბენიძე გ. ორგანული ნახშირბადის განაწილება და პოსტდიაგენეტური გარდაქმნების თავისებურებანი ალაზანგაღმა კახეთის ქვედა-შუაიურულ ფიქლებრივ ტერიგენულ ნალექებში. შრომათა კრებული. კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი. 2009. გვ. 170-178.
10. Зауташвили Б. З. Геохимия микрокомпонентов глубоких подземных вод Грузии. Тбилиси. Мецниереба. 1978. ст.163.

THE AUDIT REPORT, ITS IMPORTANCE AND TYPES

Jujuna Tsiklauri-Shengelia — Professor of GTU
Natia Shengelia — As.Professor of GTU

რეზიუმე

ფინანსური ანგარიშგება, მისი აუდიტი და განსაკუთრებით აუდიტორული დასკვნა, რომელიც ზრდის ფინანსური ანგარიშგების სანდოობის ხა-

რისხს, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ინვესტორებისათვის, ფინანსური ინსტიტუტებისთვის (მაგ. სესხის გაცემის შემთხვევაში), და ფინანსური ანგარიშგების სხვა მომხმარებლებისათვის. თუ აუ-